



2-2306/19
15-02-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

2019 წლის 6 თებერვალს, საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის თანახმად და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 99-ე და 101-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს მივმართეთ საკანონმდებლო ინიციატივით მოსამართლეთა უვადოდ გამწესების შეჩერების თაობაზე. („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 07-3/278; 06.02.2019)

ამ საკითხის აქტუალობას განაპირობებს სასამართლო ხელისუფლებაში შექმნილი რთული სამართლებრივი ვითარება და საზოგადოების დიდი ინტერესი ამ პროცესებისადმი. ხელისუფლების პასუხისმგებლობაა მოინახოს სამართლებრივად გამართული სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება, რომელიც დააზღვევს მოსალოდნელ რისკებს მოსამართლეთა უვადოდ გამწესების შედეგების თვალსაზრისით. საჭიროა სასამართლო რეფორმის მე-4 ეტაპის სწრაფად გატარება და მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიღებამდე მინიმუმ უნდა შეჩერდეს მოსამართლეთა უვადოდ გამწესება.

მანამ, სანამ იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმის პროცესი არ დასრულდება მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის თაობაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება იქნება საზიანო. სკოლის რეფორმა უნდა განხორციელდეს მოკლე დროში და ამ რეფორმის შედეგად ახალი მოსამართლეებით უნდა მოხდეს არსებული სასამართლო შემადგენლობის განახლება. განახლება იმ მოსამართლეებით, რომლებიც იქნებიან სამართლის უზენაესობის გარანტი და რომლებიც სამართლიანი გადაწყვეტილებებით უზრუნველყოფენ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებას შევუწარმოთ სამართლიანი სასამართლოს უფლება. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცვლილება წარმოადგენს მორატორიუმს, რომლის მხარდაჭერაც აუცილებელია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განსახორციელებელ ცვლილებებამდე.

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის დამატებითი არგუმენტი შექმნა 14 თებერვალს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულმა მორიგმა გადაწყვეტილებამ, რომლითაც კიდევ 8 მოსამართლე გამწესდა უვადოდ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან დემონსტრაციულად, საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე დისკუსიის და განხილვის მიუხედავად, უვადოდ გაამწესება კიდეც 8 მოსამართლის აშკარა საფუძველია მოვითხოვთ ინიციატივის მოკლე დროში განხილვა და მხარდაჭერა.

მოსამართლეთა უვადოდ გამწესების პროცესის გაგრძელება ორგანულ კანონში შესაბამის ცვლილებების განხორციელებამდე ზიანს აყენებს სასამართლო ხელისუფლების და იუსტიციის საბჭოს ისედაც დაბალ ნდობას, ზრდის დაპირისპირების მასშტაბს და საფრთხის ქვეშ აყენებს საზოგადოებრივ ინტერესს.

თუკი რეფორმის დასრულების დროისთვის უვადოდ დანიშნული მოსამართლის ყველა ვაკანსია შევსებული იქნება, აზრს დაკარგავს რეფორმა და შედეგის თვალსაზრისით იქნება ფორმალური. სწორედ ამის თავიდან აცილებას ემსახურება ჩვენი კანონპროექტი.

14 თებერვლის გადაწყვეტილება კიდეც ერთი არგუმენტია ჩვენს მიერ ინიცირებული კანონპროექტის მხარდასაჭერად და საკითხის დაჩქარებული წესით განსახილველად. ამის შემდგომ, კი უნდა შემუშავდეს ახალი ინიციატივები, რომელიც მოკლე დროში დააზღვევს ყველა შესაძლო სამართლებრივ რისკს და უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას.

პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები ვითხოვთ აღნიშნული კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ეკა ბესელია




პარლამენტის წევრი
ლევან გოგიჩაიშვილი



პარლამენტის წევრი
გედევან ფოფხაძე



პარლამენტის წევრი
ოთარ ჩრდილელი




პარლამენტის წევრი
ალექსანდრე ერქვანია




პარლამენტის წევრი
ზვიად კვაჭანტირაძე



პარლამენტის წევრი
კობა ნარჩემაშვილი



პარლამენტის წევრი
დავით ჭიჭინაძე



პარლამენტის წევრი
ლევანი კობერიძე

